№ 79 15 აპრილი, კვირა 1866—1879 15 აპრილი, კვირა № 79

დროება

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ახოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 12 აპრილს. დღეს ღილის თერთმეტის ნახევარზედ ნიკოლაევის რკინის გზით წაბრძანდნენ ყრიმში მისი იმპერატორობითი უმაღლესობა ხელმწიფე და მისი მეუღლე, რომელნიც გაივლიან მოსკოვზედ.

ბუხარესტი, 11 აპრილს. დობრუჯე რუსებმა დასტოვეს.

ტირნოვო, 12 აპრილს. დღეს ბოლგარიის ნაციონალურმა კრებამ დაიწყო კონსტიტუციის კითხვა, და შაბათს დაიშლება. დეპუტატების ამორჩევა უნდა იყოს მთელ ბოლგარიაში, რადგანაც იმათ უნდა ამოირჩიონ ბოლგარიის მმართველი. ხუთმეტს აპრილს იქნება ახალი ყრილობა.

საქართველო

კრება ბანკის თაობაზედ

ქუთაისი, 13 აპრილს. აქ ჩვენს ქალაქში დიდი განგაში, ჩურჩულ-პუტუნი, მოციქულების გზავნა და მოლაპარაკებაა ამ ჟამად. რაც დღე გადის, ისე უფრო ცოცხლდება ჩვენი მიყრუებული ქალაქი. გავიდა სამი წელიწადი მარშლის ამორჩევის შემდეგ; მაშ მკითხველი უჩემოთაც მიხვდება, თუ რაა მიზეზი ქუთაისის გაცოცხლებისა? მარშლების ამორჩევა?... დიახ, ბატონო, მარშლების ამორჩევა; მაგრამ ამას ბანკის გამგებლის და დირექტორების ამორჩევაც ზედ დაერთვის. ვამბობ დირექტორებისა-მეთქი იმიტომ რომ ამის მტკიცე საბუთიც მაქვს ხელში. თუმცა ამ წელს მხოლოდ ერთი რომელიმე დირექტორი უნდა გამოვიდეს სამსახურიდან, მაგრამ თურმე მეორეც უსაცილოდ აპირებს იმის უკან გაყოლას. ეს ორი დირექტორი ბანკში სამსახურს ისე დაუმეგობრებია, თითქოს სიამის ტყუპები გამხდარიყონ. როგორც ერთი დაანებებსო თავს ბანკში სამსახურს, მეორეც უკან გაჰყვებაო. ეს ამბავი აზრზე ახლოა და რიგიანი გადაწყვეტილებაც არის იმათის მხრით. მეტად ბევრი იშრომეს ამ პატიოსანმა კაცებმა საზოგადოების წინაშე, ბევრი ოფლი ღვარეს; რაც იმათ ხელი მოუწერიათ სესხის ქაღალდებზე, სხვა რომ არა გაეკეთებინათ-რა, ესეც საკმაო იყო იმათ მოღვაწეობის დასაგვირგვინებლათ. მაგრამ ამას გარდა იმათ სხვა საქმეებიც ბევრი აკეთეს. იგინი ძალიან ხშირად ესწრებოდენ ბანკის გამგეობის რჩევაში; ბანკში თითქმის ყოველ დღე დაიარებოდენ, როცა კი ქუთაისში იყვნენ ხოლმე. კამანდიროვკებიც ხშირად ჰქონიათ: ასე, ორჯელ-სამჯელ წელიწადში, თითო ან ოროლი თვეობით. ერთი იმათგანი, რომელიც გურიის წარმომადგენელი იყო და გურიაში სახლობდა, სულ გურიის უეზდში იღებდა კამანდიროვკებს; მეორე კი სამეგრელოში და ხან-და-ხან რაჭა-ლეჩხუმშიც... ან რგანისკენაც გაიმგზავრებდა, რადგან ამასაც ამ ორ მხრისაკენ ჰქონდა ადგილ-მამულები და ოჯახობა. „ურია წყალს მიჰქონდაო და გზაც იქით იყოვო“. ესენიც ამ,ანდაზისამებრ იქცეოდენ და, სწორე მოგახსენოთ, რიგიანათაც ასრულებდენ თავის კამანდიროვკებს; თუ ვადას არ გადააცილებდენ, ვადაზე ადრე ერთხელაც არ დაბრუნებულან. ამათ შესახებ ჩვენი იმერეთის საზოგადოება სწორეთ მოვალეა პირველს ყრილობაშივე ერთობრივი უკულითადესი მადლობა გამოუცხადოს და აკმაროს ამ პატიოსანს კაცებს ამდენი ჯაფა და მწუხარება. იმათი მსხვერპლი სწორეთ ღირსია ამ გვარის ჯილდოისა. ესენი ამ სამს წელიწადს თავიანთ ოჯახს და სახლ-კარს მოშორებულნი იყვნენ; სხვა რომ არა ვთქვათ, რაც ამათ მიუხედველობით და უყურადღებობით ამ სამს წელიწადს თავის ოჯახებში ჰირნახული წაუხდათ საზოგადო სამსახურის გულისთვის, განა ეს კი არ კმარა მსხვერპლად? ისე როგორ-ღა გაკადნიერდება ჩვენი საზოგადოება, რომ აწც მოსთხოვოს მათ საზოგადოებისთვის უსასყიდლო სამსახური. სწორეთ, რომ საკმარისია და მათი შერყეული ტანის სიმრთელეც მოითხოვს აწ უფრო მოსვენებულს და უჯაფო ცხოვრებას.

სხვა-და-სხვა მაზრებში ქალაქს გარეთ კარგა ხანია, რაც გავიდნენ შიკრიკები სოფლების და მაზრების თავად-აზნაურობის მოსამზადებლათ, თუ ვის ჩაუგდონ თეთრი და ვის შავი კენჭი. უფ. გ. ღოღობერიძემ ამ აღდგომის დღესასწაულებით ისარგებლა და გაემგზავრა ჯერ ჭიხაიშისკენ და მერე ტყიბულისკენ, ორივე მხრით ვითომც საკუთარი საქმისთვის; მაგრამ, როგორც იქიდან მოსულმა კაცებმა გვითხრეს, ამ საკუთარს საქმეს საზოგადო საქმეც თან დართვია. ის ხშირად აძლევდა თურმე მეგობრებს და ნაცნობებს კითხვას, თუ რას ჰფიქრობენ და ვინ ჰყავთ სახეში ბანკის გამგებლათ? თავად-აზნაურები თავის მხრით იმასვე მიუბრუნდებოდენ და ჰკითხავდენ რჩევას. ესეც თურმე ასე აგონებდა: „ჩვენთვის საჭიროა მაგ თანამდებობაზე სუდის სამსახურში გამოცდილი კაცი გვყავდეს, რადგან ბანკის გამგებელმა უნდა შეამოწმოს, კანონიერია სესხის მოწმობა თუ არა. ამას გარდა ბანკის გამგებელი უნდა იყოს შესახედავათ წარმოსადგენი კაცი, პრაქტიკულს ცხოვრებაში გავარჯიშებული, მთავრობასთან დაახლოვებული და მთავრობის თვალში საიმედო, ტკბილი, ალერსიანი ყოფა-ქცევა უნდა ჰქონდეს, რომ ყველას თანასწორათ პირში უცინოდეს, დიდსა და პატარას: დადიანსაც, წერეთელსაც, წულუკიძესაც, ქავთარაძეს... შვილსაც და მასხარაშვილსაც, მოშასაც, შალომასაც, არტემასა და პოლოსასაც, რადგან ყველა აქ მოხსენებული გვარის კაცები ბანკიდან ფულის სესხათ ამღები იქნებიან; ამას გარდა უნდა იყოს ადგილობრივი იმერეთის მებატონე, იმერეთში მოსამსახურე და არც მომეტებული ახალგაზდა; ასე, ორმოც-და-სამი-ოთხი წლის ვაჟ-კაცი; აგრეთვე უნივერსიტეტში კურს-დასრულებული.

— ბატონო, ჩვენ გავიგონეთ, რომ, ვითომც თქვენ და თქვენ ძმებს გადაეწყვეტოსთ დიმ. ყიფიანის მოპატიჟება ბანკის გამგებლათ—ჰკითხავდენ თურმე თავად-აზნაურები.

—ჰო, მართალია, ჯერ კი ვიფიქრეთ მაგრამ ახლა, როგორც ვატყობთ, აღარ მოხერხდება—უპასუხებდა ხოლმე გ. ღოღობერიძე. დიმ. ყიფიანი თუმცა დამსახურებული კაცია, მაგრამ ერთობ მოხუცდა; აი, ტფილისში გალავათ იყო, მაგრამ, როგორც ისმის, ქალაქის საქმე კარგათ ვერ წაიყვანა; ნახევარჯერ სულ თავის სოფელში ქვიშხეთში ატარებდა დროებას, შრომას ვერ ძლებულობდა, საქმეების თავი აღარ ჰქონდა...

—აბა, ბატონო თქვენ რომ აგვიწერეთ იმისთანა კაცი ერთია ჩვენში; თქვენი ძმა ნ. ღოღობერიძე—ეუბნებოდენ თავად ნაზაურები. მაგრამ ასე ამბობენ, მოლაპარაკე კაცი ვერ არისო.

—ბანკის გამგეობას ლაპარაკი არ უნდა, იქ უფრო საქმიანობა უნდა.

—კი, მარამ რუსეთის ბანკირებთან რომ მოუხდეს ლაპარაკი და ისე შედგეს, როგორც ერთხელ სუდის წინაშე დაემართა, მერე....

—არა. არა. მგ ერთხელ უცაბედათ მოუვიდა, მაგისთანა საქმე აღარ დაემართება.

—კაი, დაგემართოს, მარამ ამ საზო-

გადოების ყრილობებშიაც რომ არ გაგვიგონია იმის ლაპარაკი?...

—აწ გაიგონებთ, აწ ილაპარაკებს.

—აბა, კაი დაგემართოს; აბა, ნ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ ამოვირჩევთ.

—ჰო, მოიფიქრეთ, რაც გითხარით და ისე მოიქეცით.

Გ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ გარდა რამდენიმე სხვებიც წავიდ-წამოვიდნენ ჩვენს უფლებში და ყველანი ერთნაირათ აჯერებენ ჩვენ მეკენჭეებს, რომ ყველას ნ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ სჯობიაო ბანკის გამგებელ-ᲚᲐᲗ.

ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲘᲡ წინ შაფათს ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ კონება გახსნილი კაცები იყვენ ბანკის ზალაში მოპატიჟებული და იქაც ჰქონდათ ბანკის გამგებლის ამორჩევაზე ლაპარაკი. სხდომაზე არ დასწრებიან სხვათა შორის არც ᲖᲘᲝᲠᲒᲘ და არც ნ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲔᲑᲘ. ᲐᲛ შემთხვევამ კიდევ უფრო დაარწმუნა ყრილობაში დამსწრენი, რომ ნ. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲡ რადგან ბანკის გამგებლობაზე კენჭის ყრის სურვილი აქვს, იმიტომ არ დაესწროთ და არც იყო რიგიო. აქ, ვინც დაესწრო, იმათ ჰქონდათ საზოგადოთ ლაპარაკი, თუ ვინ უნდა წამოვაყენოთ ბანკის გამგებლის კანდიდატათო. ბევრი არჩიეს; მაგრამ ვერა გადაწყვეტეს რა; მხოლოდ Ს. ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲛ კი განმარტა ბოლოს თავისი აზრი: ჩვენ იქნება მშრომელიც, საქმის მცოდნეც და განათლებული კაციც ბევრი გვყავდესო; მაგრამ ნუ დავიწყებთ, რომ ბანკის გამგებელს წარმოსადგენი სახეც უნდა ჰქონდესო, რომ იმის ყურება ყველას იამოსო. უნდა მოგახსენოთ, რომ ამგვარმა ლაპარაკმა ძალიან გაკვირა იქ მაყურებელნი. ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲘᲤᲔᲠᲡ წარმოვიდგენდით და თუ ამ ჩვენს განათლებულს დროში, საცა მხოლოდ ჭკუისა და ზნეობის ძალა მოქმედებს და საზოგადო საქმეში მხოლოდ ამგვარი თვისების კაცს ეძებენ, არ გვეგონა, რომ ჩვენი განათლებულები მხედველობაში იქონიებდენ ბანკის გამგებლის ასარჩევათ რომაულს ცხვირს და სვანის ბეჭებს. ᲢᲐᲚᲔᲘᲠᲐᲜᲘ თუ კოჭლი და ფეხ მოტეხილი იყო, იმიტომ არ ჰგზავნიდა ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜ პირველი ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ სახელმწიფო კარებზე თავის წარმომადგენლათ; ან საფრანგეთის ალმადგენი ᲢᲘᲔᲠᲘ თუ ციდა-ნახევარი კაცი იყო, იმიტომ არ უკვირს მთელს ქვეყანასა იმისი მოქმედება; ეითამ იმიტომ დაიწუნეს ᲤᲠᲐᲜᲪᲣᲖᲔᲑᲛᲐ თავის პრეზიდენტი და არ მიანდვეს თავის ქვეყნის ბედ-იღბალი გაჭირვების დროს. ᲐᲠ გვეგონა, სწორეთ არ გვეგონა, თუ ჩვენი ნაქები კაცები ᲖᲘᲝᲠᲒᲘ და სვიმონ ᲚᲝᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔᲔᲑᲘ ჭკუას და ზნეობას განზე გადადებდენ და ბანკის გამგებლის უმთავრესს ღირსებათ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘᲡ მხარ ᲐᲛᲘᲠᲘᲜᲓᲝᲡ ბეჭს და ცხვირის მოყვანილობას მისცემდენ უპირატესობას.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ᲩᲕᲔᲜ შეგვხვდა ერთი წერილი ᲐᲠᲓᲐᲜᲘᲓᲒᲐᲜ, რომლიდამაც საჭიროდ ვრაცხავთ მოვიყვანოთ შემდეგი ადგილები:

...„ᲩᲕᲔᲜᲘ მაზრის უფროსი კიდევ განუსაზღვრელად მოქმედებს. რაც ძველი მოხელეები იყვენ სამმართველოში, ყველას გზა დაულოცა და მათ მაგიერად სულ შუშის ზაოდიდგან გამოიწერა, რომელთაც ოსმალური არა იციან-რა და აქაურებისთვის ძნელად გასაგონ სპარსულ-თათრულ ენაზედ ლაპარაკობენ. ᲐᲮᲚᲐ წარმოიდგინეთ რა გაჭირვაში უნდა იყვენენ ეს საცოდავები! ᲐᲚᲑᲐᲓ მოინდომებენ გადასახლებასა...

...„რაც აქ ვიღაცა სურინოვი საქმეს ჩადის, მარტო ის კმარა გულის გასახეთქად. ᲐᲛ უფალს ქალაქის ყანთარი აქვს ალებული ფოდრადით.

„რა საქონელიც შემოვა, უნდა აიწონოს და ისე გაიყიდოს. საქონლის პატრონმა ფუთზედ ერთი კაპეიკი უნდა გადიხადოს. ᲑᲚᲔᲮᲡ მოაქვს ურმით ოთხიხუთი ფუთი რამე, არ შეწუხდებიან, არ ასწონენ, ისე ნარდად გადასწყვეტენ: ათი შაური უნდა გადიხადოვო,—მაშინ, როდესაც ნამდვილად ერთი ან ორი შაური ერგებათ. ᲑᲚᲔᲮᲘᲪ იხდის.

ᲑᲚᲔᲮᲡ მოაქვს ერბო, ესთქვათ ოთხი ფუთი; რა იცის რამდენია. მყიდველი მოიალაპარაკებს მეყანთრესთან და აწონის დროს სამ ფუთად გამოჰყავსთ. ᲑᲚᲔᲮᲛᲐ რა იცის? მერე ასე რიგად უსვინიდისოდ შეძენილს მეყანთრე და მყიდველი შუაზედ იყოფენ. ᲗᲘᲛᲔᲝᲠᲒᲘ, ᲑᲔᲒᲠᲘᲐ დასაწერი, მაგრამ ვერ დაიწერება...“

*** ᲮᲘᲓᲘᲡᲗᲐᲕᲘᲓᲐᲛ გვწერენ რომ მჭელის ავათმყოფობა უფრო გახშირდაო და ბევრნიც იხოცებიანო. მაგრამ არავინ ყურადღებას არ აქცევს და არც არაფერ საშუალებას არ ხმარობენ იმის მოსასპობლათ. ᲐᲛ ავათმყოფობაზე უფრო შეწუხებული ვართ აქაურ მოხელეებისაგან, რომელნიც არა გვარ ყურადღებას არ აძლევენ საჩივრებს და მოჩივრებს, ვინც უფრო ბევრს აჭმევს და მეტათ ასმევს ნუნნას იმათ მხარეს დაიჭერენ და ისინი დარჩებიან მოგებაში.

*** ᲝᲠᲨᲐᲤᲐᲗᲡ 16 ᲐᲠᲘᲚᲡᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ გამგეობაში განირჩევა შემდეგი საქმეები:

1) ᲣᲐᲠᲐᲕᲘᲡ წინადადება შტატებზედ.

2) ᲣᲤ. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ წინნდადება ქალაქის გამგეობის წესდების წყობილობაზედ.

3 ᲣᲤ. ᲐᲚᲐᲓᲐᲗᲝᲕᲘᲡ წინადადება შატილოვის დაᲑᲣᲚᲘᲒᲘᲜᲘᲡ ფულის გადახდევინებაზედ, რომელთაც მოკრეფილი ფული ცხენების შენახვისა და სასახლე მასალების შესანახავ ალაგებისა (складъ) არ წარუდგენიათ.

4) ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ გამგეობის წინადადება ვალდებულობის გადაწყვეტილების თაობაზედ.

5) ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ გამგეობის დასკვნა სანიტარულ კომისიის წინადადებაზედ.

6) ᲗᲮᲝᲕᲜᲐ უწინდელი ბუხგალტერის ᲔᲜᲘᲙᲝᲚᲝᲤᲝᲕᲘᲡᲐ დაჭერილ ჯამაგირის (25 მ. 33 კაპ.) დაბრუნების თაობაზედ.

7) ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔ ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲕᲘᲡᲘᲡᲐ, იმაზედ რომ ქალაქის გამგეობა აცლევინებს სახლს და აძლევს ჟანდარმის კამანდას.

8) ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ გამგეობის წინადადება ჯარების სახლების თაობაზედ.

9) ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ გამგეობის წინადადება ᲥᲐᲚᲝᲑᲐᲜᲡᲙᲔᲑᲘᲡ დასაჩუქრების თაობაზედ, რადგანაც მათი ალაგი გაყვანილმა ᲒᲣᲠᲩᲐᲛ დაიჭირა.

10) ᲣᲤ. ᲨᲐᲜᲨᲘᲔᲕᲘᲡ წინადადება ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებაზედ, რომელიც გადაწყდა 26 მარტს, მოსაკრეფავ ფულების გამოისობით.

11) ᲞᲠᲘᲙᲐᲖᲘᲡ დირეკტორის, ქალაქის სამკურნალოს მმართველის და გამგებელ კომისიის ამორჩევის თაობაზედ.

12) ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ წინადადება გაუთავებელ სანიტარნი-ასენიზაციონი კამიტეტის წარდგენილ საქმეების გამო.

*** ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ გამგეობაში დაიწყება ამას იქით ყოველ შაფათის საღამოს რვა საათზედ კერძო სხდომები.

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲐᲠᲓᲐᲜᲣᲯᲘ. ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ 20, სა. ᲕᲐᲛᲑᲝᲑᲗ: მარტი დადგა, ხეში წყალი ჩადგაო. აქ თებერვალშიაც აყვავდნენ ხეები საამურად და ძეწნმა გაშალა უსარგებლო ფურცლები. სრული გაზაფხულია. შუა იანვარში მოვიდა თოვლი, მაგრამ ბევრ ხანს ვერ გასძლო—გაქარწყალდა. დიდი ხანია აქაურობა დაიცალა, მაგრამ მაინც ვოინობის სუსხი არ გადასულა აქა და ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲨᲘ—სიძვირეა საშინელი.

ᲖᲣᲨᲘᲜ მობძანდა ᲐᲠᲓᲐᲜᲣᲯᲨᲘ ინჟინერების უფროსი—ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ, რომელმაც უნდა ახალი გზა გაიყვანოს ᲐᲠᲓᲐᲜᲣᲯᲘᲓᲒᲐᲜ ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲐᲛᲓᲔ. ᲗᲐᲗᲠᲘᲡ დროს თითქმის გაკეთებული გზა კი უბრალოდ უნდა გაფუჭდეს, მაშინ როცა შეიძლება ეს გზა ცოტა გასწორდეს და შეთავდეს. მაგრამ ეითომ უნდა შეამოკლონ. როგორც ამბობენ ქვეით უნდა ჩაიყვანონ გზა. ᲐᲛᲐᲖᲔᲓ არ შეიძლება არა ესთქვათ რომ ამათ ერთი გარემოება აეიწყდებათ: რამდენიც გზა ქვეით იქნება იმდენი ნიალვარი ხშირათ წაახდენს. ᲜᲣ დავიიწყებთ, რომ იმ ძველი გზის გამკეთებელებიც ინჟენერები ყოფილან და ჰქონიათ თვალები და მოაზრება.

მაგრამ ამ ინჟენერებს უთუოდ სხვა ჩვენთვის მიუწვდომელი მოფიქრება აქვსთ და ჩვენ კი რა ვიცით—იქნება კიდეც ვიცოდეთ, ვინ იცის...

ᲐᲠᲓᲐᲜᲣᲯᲘᲡ მაზრა შესდგება ოცდა თერთმეტი სოფლისგან. ᲐᲛ სოფლებს ჰქვიან: Ს. ᲡᲣ—იოლი, ᲘᲨᲒᲘᲜᲐᲠᲘ, ᲐᲥᲘᲡᲘ, ᲡᲐᲮᲠᲔᲑᲘ, ᲐᲠᲐᲕᲔᲗᲘ, ᲭᲐᲠᲕᲐᲠᲓ—ხელი, ᲙᲚᲐᲠᲯᲗᲘ, ᲛᲣᲥᲐᲠᲘ, ᲝᲠᲗᲘᲡᲘ, ᲡᲐᲚᲝᲡᲐ, ᲖᲣᲚᲘᲯᲐ, ᲢᲐᲜᲮᲝᲗᲘ (ეს სახელი სომხურია. ᲮᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ: „ᲛᲐᲡᲮᲚᲘᲐ ვგონებ უნდა იყოს ᲢᲐᲜᲯᲣᲗᲘ.) ᲓᲘᲐ კარმიჯი (ესეც სამხურია. ᲙᲐᲠᲛᲘᲯᲘ, ᲘᲪᲘ ᲮᲘᲓᲘᲐ, მაგრამ „დიან“ ვერ მოგახსენებთ). ᲫᲔᲑᲐᲗᲐᲮᲝᲠᲘ, ᲖᲘᲣᲛᲘᲨᲮᲐᲜᲐ (ეს თათრული სახელია. ᲮᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ:—„ᲡᲐᲕᲔᲠᲪᲮᲚᲝᲠ“. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ამ სოფლის ახლო ყოფილა ვერცხლის მადანი, მუშობდა კიდეცაო, მაგრამ რაღაც მიზეზით გააუქმესო. ᲔᲐ სოფელი ძევს ᲐᲠᲓᲐᲜᲣᲯᲘᲓᲒᲐᲜ ოც ვერსტზე ᲐᲠᲗᲕᲘᲜᲘᲡᲙᲔᲜ). ᲣᲚᲔᲤᲘ, ᲣᲜᲣᲡᲮᲔᲕᲘ, ᲡᲮᲕᲐ, ᲮᲣᲑᲝᲚᲝᲠᲔᲗᲘ, ᲗᲐᲠᲗᲔᲚᲘᲐ, ᲛᲝᲪᲐᲚᲮᲔᲕᲘ, ᲑᲝᲪᲐ, ᲩᲣᲒᲝ, ᲡᲣᲐ ᲑᲐᲠᲐ ᲚᲑᲘ—ᲭᲐᲚᲐ,

*აჩქარა, *ანჩი, *ანაგერთი, პორთა, *ჩრდილი, ხავთი, ქაშუხჩი, (ეს სახელი თათრულია, ჰნიშნავს—მეკოვზე) ხერთვისი, აბამენი, შავ-ბულარი ლონგოთხევი, ბველეშანი, ხევა, ნორგიოლი (საბხურია. ნიშნავს ახალი ტბა) ფეთუბანი, ბულაშეთი, *ქარსნია, *სამასხრი, *უსტასკელ, *ქონთრაბი, *სალიანი, ბიჭა, ხარაული და მეცაგილი.

ყრდი—ყარდი

*) ამ სოფლებში ლაპარაკობენ ქართულს.

წერილი რედაქტორთან

უფ. რედაქტორო!

წუხელ, 7 აპრილს გათავდა სხდომა სამეგრელო სასულიერო დეპუტატებისა შესახებ მარტვილის სასწავლებელისა. სულ იყო მოსული 34 დეპუტატი; არ მოვიდა მხოლოდ ორი. მამა დეპუტატებმა შეადგინეს ორი პროტოკოლი და წარუდგინეს თავიანთ მთავრობას დასამტკიცებელათ. ერთი პროტოკოლის ძალით, რომელზედაც მოაწერა ხელი 21 დეპუტატმა, სასწავლებელი უნდა იყოს გადატანილი მარტვილიდამ სხვა ალაგს, ხოლო სად, რომელ ქალაქში—ამის ამოარჩევა კრებამ მიანდო სასულიერო მთავრობას და სასწავლებლის სამმართველოს. მეორე პროტოკოლში, რომელზედაც მოაწერა ხელი 13 დეპუტატმა ითხოვენ იყოს დანიშნული ახალი კრება და სჯა ამავე საგანზე.

ეს შემთხვევა, რომ მამა დეპუტატებმა თითონ არ ამოარჩიეს ალაგი და საქმე თავიანთ მთავრობას მიანდეს, მოხდა შემდეგის მიზეზეზის გამო: თუმცა ისინი დათანხმებული იყვნენ ერთმანეთში შესახებ სასწავლებლის მარტვილში დარჩენის შეუძლებელობაზე, მაგრამ ჩემ-შენობამ არ მისცათ ნება გაეშინჯათ საქმე გულ დადგენით ვერ მორიგდნენ ერთმანეთში, თუმცა რჩევა და ლაპარაკი ამ საქმეზედ თითონ მარტვილში სამი დღე დილით-საღამომდე გრძელდებოდა. მაინც და მაინც საქმე ძლივს გადასწყდა და ეხლა ეგებ სასწავლებელს ეშველოს რამე.

ა. ხელაშვილი

P. S. იმას წინეთ იყო „დროებაში“ სტატია „მარტვილის, სასულიერო სასწავლებელი“ სადაც იყო ნათქვამი, რომ მარტვილში, ბლეიდამ მოყოლებული კეთილშობილამდე სულ შეგირდების მდგმურებით რჩებიან მეთქი. ეს ძალიან სწყენიათ აგრეთვე იმ ორიოდე სახლობას, რომელზედაც არ შეიძლება ეს ზემო მოყვანილი ითქვას. ამით ვაცხადებ რომ ის ორი, სამი სახლობა, როდესაც ესწერდი იმ სტატიას სახეში არა მყოლია და ამასთანავე ორს სახლობას ასში და მეტში—არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, რომ მათზედ ცალკე საუბარი მოახდინოს კაცმა. მაინც იმ ორ სახლობას ვრიცხამ იმ ჩემის სიტყვებიდამ, თუმცა საზოგადოთ ფიმეორებ და ვირწმუნებ, რაც იმ სტატიაში იყო ნათქვამი.

ა. ხ.

მარტვილი 8. აპრილს

განცხადებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ § 15 ბანკის წესდების ძალით ქვემო-მოხსენებული პირების უძრავი მამულები, რომლებიც შეტანილია ბირაოთ ბანკში და ამავე წესდების ძალითვე ნახევარ წლის სარგებლის წინათ შემოუტანლობის გამო ისყიდება სახალხოთ. ამ მამულების გაყიდვა შესდგება მარტო მაშინ, როცა მემამულეები შემოიტანენ ნახევარ წლის სარგებელს.

სახელები და გვარები მემამულეებისა	რა გვარი მამულებია	მამულების მდებარობა
მაღალაშვილი ლუარსაბ ალექსანდრეს ძე.	ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 324½ ოთხ-კუთხი საქენი მიწა.	11 ნაწილში II განყოფილებაში ქ. თფილისში.
მარდანოვი პეტრე დავითის ძე.	ოთხ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 450 ოთხ-კუთხი საქენი მიწით.	3 ნაწილში, I განყოფილებაში, ქ. თფილისში, № 339.
საფრონოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე.	ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 146 ოთხ-კუთხი საქენი მიწით.	ქ. თფილისში, 16 ნაწილში II განყოფილებაში.
მდივანი, იაგორ დავითის ძე.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 74 ოთხ-კუთხი საქ. მიწით.	თფილისში 6 ნაწილში I განყოფილებაში.
ტერ-მიკირტიჩიანც ქრისტოფორ ნიკიტის ძე.	სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 634½ ოთხ-კუთხი საქენი მიწით.	12 ნაწილში II განყოფილებაში, თფილისში.
არეშოვი ნიკოლოზ სიმონის ძე.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 26 ოთხ-კუთხი საქ. და 6 ოთხ-კუთხი არშინი მიწით.	ქ. თფილისში, 5 ნაწილში, I განყოფილებაში.
ერისთვისა, ივლიტა დიმიტრის ასული.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 500 ოთხ-კუთხი საქ. მიწით.	ბორში, თფილისის ლუბერნია, უფროს ქუჩაზე (გლავნი ქუჩა).
პანამარიოვისა, ელისაბედ გრიგორის ასული.	სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, 500 ოთხ-კუთხი საქენი მიწით.	6 ნაწილში I განყოფილებაში, ქ. თბილისში.
სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული.	ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი ბ) სამ-სართულიანი ქვით-კირის დუქნები, ორი ორ-სართულიანი ქვით-კირის დუქნები და ბ) თერთმეტი ერთ სართულიანი დუქნები 276 ოთხ-კუთხი საქენი და 7 ოთხ-კუთხი არშინი მიწით.	თფილისში ა), 7 ნაწილი I განყოფილებაში და ბ) 14 ნაწილში II განყოფილება ჩულურეთში.
ერისთავი, ალექსამდრე პავლეს ძე.	ქვით-კირის შენობები 5600 ოთხ-კუთხი საქენი მიწით.	ქ. ბორში, თფილისის გუბერნიაში წისქვილის ქუჩაზე.
ჭიჭინაძე, იგნატე ნიკოლოზის ძე.	ქვითკირის შენობა 115 ოთხ-კუთხიანი საქენი მიწით.	1 ნაწილი I განყოფილება ქ. თფილისში ნაგორნი ქუჩაზე.
ფავლიევი, იაკობ სიმონის ძე.	ორ სართულიანი ქვითკირის სახლი 72 ოთხ-კუთხი საქენი მიწით.	5 ნაწილი I განყოფილებაში, თფილსში ნემენცის ქუჩა.
პავლოვსკი, ანდრია სტეფანეს ძე.	სამ სართულიანი სახლი, მოსამსახურების სადგომით 196 ოთხ-კუთხიანი საქენი მიწით.	თფილისში I განყოფილებაში I ნაწილში ნაგორნი ქუჩაზე.
ამატუნისა, ანნა ნაზაროვის ასული.	ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, შენობებით 578,79 ოთხ-კუთხი საქენი მიწით.	თფილისში 4 ნაწილში I განყოფილებაში ველიამინოვის ქუჩაზე.
ჭავჭავაძეები თ. ნიკოლოზ და მიხეილ ზურაბის ძენი.	სახნავი და საძოებელი მიწა 669 დესეტინა 180 ოთხ-კუთხი საქენი.	თფილისის გუბერნიაში თიონეთის მაზრაში, სოფ. ალოოთში.
ერისთავი, თავ. ბიორგი ბიორგის ძე.	სახნავი და საძოვარი მიწა. 243 დესიატინა 1263 ოთხ-კუთხი საქენი.	თფილისის გუბერნია თელავის მაზრაში, სოფ. მილტაურში.

ავალოვი, თ. ივანე ზაალის ძე.

თულაშვილი, სოლომონ ივანეს ძე.

საღინოვი, თავ. მიხეილ პაატის ძე.

დოდაევისა, თამარა ალექსანდრეს ძე.

აბხაზი, თ. ირაკლი ალექსანდრეს ასული.

შალიკოვი, თავ. იოსებ ივანეს ძე.

ერისთავები, თავ. რაფაელი და იოსები.

ერისთავი თავ. გიორგი გიორგის ძე.

შალიკოვი თავ. გიორგი რაჟდენის ძე.

შალიკოვები, თავ. კონსტანტინე, ნიკოლოზ, გიორგი, მიხეილ და მარია დიმიტრის ძენი.

გაბაშვილები, ივანე და იოსებ იაკობის ძენი.

ამილახვარები, თავ. ივანე და ელისაბედ თეიმურაზის ძენი.

ორბელიანი თავ. ვახტანგ ვახტანგის ძე.

ციციშვილი, თავ. დავით ივანეს ძე.

ზანდუკელი, ოტია გიორგის ძე.

ორბელიანი, თავ. ვახტანგ ვახტანგის ძე.

ჩოლაყაშვილი, თავ. ნიკოლოზ ფადეის ძე.

თარხან-მოურავი, კნ. მარიამ ბიძინას ასული.

ამილახვარიშვილი, თავ. ამირინდო ამირინდოსძე.

ბედევანიშვილი, თავ. კონსტანტინე დავითის ძე.

ერისთავი, თავ. ევსტაფე მირზახანოვის ძე.

ანდრონიკაშვილი, თავ. ზაქარია იასეს ძე.

სახნავი და საძოვარი მიწა 151 დესიატინა 300 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 297 დესიატინა 2003 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 2074 დესიატინა 700 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 1020 დესიატინა და 1920 ოთხ-კუთხი საჟ.

ორი ნაწილი მიწა 177 დესიატინა და 7 ოთხ-კუთხი საჟენი.

ერთი ნაწილი მიწა 270 დესიატინა.

ერთი ნაწილი მიწა 900 დესიატინა.

ერთი ნაწილი მიწა 800 დესიატინა.

სახნავი და საძოვარი მიწა 447 დესიატინა, 2262 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 1446 დესიატინა, 2294 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 309 დესიატინა 1856 ოთხ-კუთხ. საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 151 დესიატინა 1756 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 1434 დესიატინა, 1120 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 87 დესიატინა, 960 ოთხ-კუთხ. საჟენი.

ვენახი, 7 დესიატინა მიწით.

სახნავი და საძოვარი მიწა 1977 დესიატინა, 1280 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 5724 დესიატინა, 145 ოთხ-კუთხ. საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწი 545 დესიატინა, 1645 ოთხ-კუთხ. საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 145 დესიატინა, 1756 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 89 დესიატინა, 2046 ოთხ-კუთხი საჟ.

სახნავი და საძოვარი მიწა 280 დესიატინა, 2006 ოთხ-კუთხი საჟენი.

სახნავი და საძოვარი მიწა 15000 დესიატინა.

თფილისის გუბერნია ბორის მაზრაში, სოფ. ბრეთი.

თბილისის გუბერნია და მაზრაში, სოფ. ზირბითი.

თფილისის გუბერნია, თელავის მაზრაში სოფ. აია, ონდაბა ზემო-ხოდაშენი და ახტანი.

თფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. ზემო-ხოდაშენში.

თფილისის გუბერნია და მაზრაში, სოფ. თბინვალში.

თფილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრაში, სოფ. ბურჯაანში.

თფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. ბოჩარმოში.

თფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრაში, სოფ. ბოჩარმოში.

თფილისის გუბერნიაში, ბორის მაზრაში, სოფ. სკრაში.

თფილისის გუბერნიაში, ბორის მაზრაში, სოფ. სკრაში.

თფილისის გუბერნიაში, თფილისის მაზრაში, სოფ. საკაბაშვილო-თბინვალი.

თფილისის გუბერნიაში, ბორის მაზრაში, სოფ წაკრეთი.

თფილისის გუბერნიაში, თიონეთის საპრისტავოში, სოფ. მურიკალა ცარიელა ადგილი შინდილიარი.

თფილისის გუბერნიაში, ბორის მაზრაში, სოფ. ძველმო-წირბისი.

თფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. არაგვის-პირი.

თფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. ძველი-დუმანისი ჩინჩხური და ციხის საკალური.

თფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. ყარაბული, პალდო, უჯარმო და სამ-ბორი.

თფილისის გუბერნიაში, ბორის მაზრაში, სოფ. ცხოველჯერ.

თფილისის გუბერნიაში, ბორის მაზრაში, სოფ. ნაკრეთი.

თფილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. მუხათ-ბევრდი, საგუდე და სასხარი.

თფილისის ღუბერნიაში, ბორის მაზრაში, სოფ. ახრისი.

თფილისის ღუბერნიაში და მაზრაში, სოფ. ლომბელო.

პირველ მაისიდამ დავიწყობ თბილისში მოზიდვას ტყის მასალებს ოთხი და ხუთი წლის დახერხილებს, ფიქლის და ელის ხეებს ძალიან ზმელს. აქ იმაზედ უკეთესი მასალა არ მოიპოვება და ამიტომ ვთხოვ მსურველს მომმართოს მე არსენალის ქუჩაზე შულინოვის სახლებში № 31.

(2—3)

„ქუთაისის ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოების“ წევრნი, გამგებელი კომიტეტის გადაწყვეტილების ძალით, მოწოდებულნი არიან ამ აპრილის 22-ს არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებად.

(2—3)

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. კ. მესხის მაღაზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად ბ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინიმძღვაროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

წასვლის გამო ისყიდება პიანინო, გარმონია—ფლიუტ და უბრალო მებელი სოლოლაკზე სადგვის ქუჩაზე მელიქოვის სახლებში № 43 ჰკითხეთ გიჭს სტეფანეს.

გაიმართა სახელოსნო რომელშიაც მსურველს შეუძლიან გააკეთებინოს შემდეგი სამეურნეო იარაღები:

კ ე ვ რ ი ნიკ. ავალიშვილისა.

მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი (приводъ) ამ კევრისათვის, თ. ერ. ჩოლაყაშვილისებური, ამ ჟამად გაუკეთესებული მისგანვე.

მ ა ტ ა რ ე ბ ე ლ ი (приводъ) ისევ ამ კევრებისათვის, ნიკ. ავალიშვილისებური, მეხანიზმოთი. საჭიროდ ვრაცხავ ვაცნობო მეურნეთა, რომ ხსენებული კევრი შარშანდელ კვალობაზედ ახლა დიალ გაუკეთესებულია, და თუ რამ დამატება და შეცვლა ეჭირებოდა ახლა შეცვლილია და შესრულებული იმ დამატებებითა.

ამ იარაღების შემოკვეთა ვისაცა ჰსურს, უნდა მიჰმართოს ნ. ავალიშვილს სოლოლაკზედ, ქოჯორის ქუჩაზედ, ამბარცუმოვის სახლში, № 2, ნაშუადღევის 4-ან 7 საათამდის.

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკლესიის ქვეით დუქნებში. ბარემ პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

Дозволено цензурою: Тифлисъ 14 Апрѣля 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.